

საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში

დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N003, 27.03.96, გვ. 15) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. პირველ მუხლს დაემატოს „კ“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„კ) შავი ბუღალტერია – კანონმდებლობით დადგენილი წესისაგან განსხვავებული წესით ნაწარმოები ბუღალტრული მონაცემები და სააღრიცხვო დოკუმენტაცია.“.

2. 22-ე მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ პირისათვის შავი ბუღალტერიის საფუძველზე სესხის გაცემა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი